



რეგისტრაციის N 3/36

ვანის მუნიციპალიტეტი

ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების აუდიტის ანგარიში

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„პ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

09 01 2018 წელი

ეგზ. №1

ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 3/36

2018 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაცია	4
შესავალი.....	6
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	8
„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა	9
<i>საკრებულოს წევრების ხარჯები.....</i>	9
„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა.....	11
<i>ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.....</i>	11
<i>სამშენებლო სამუშაოებზე გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული ხელშეკრულებების ანაზღაურება.....</i>	14
<i>„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები.....</i>	15
<i>სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.....</i>	19
<i>სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია</i>	19
<i>ხიდის საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის შესყიდვა</i>	21
შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა	22
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	24
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....	25
შენობა-ნაგებობები	26
მატერიალური მარაგები	27
ბალანსის დანართი ფორმები	27
ვანის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა.....	28
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	29
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	29

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვენილი დარღვევები დეტალურად აღწერილია აუდიტის ანგარიშის ძირითად ტექსტში.

- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ❖ აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლებისათვის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. შედეგად, მოსახლეობამ ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული სარგებელი გრძელვადიან პერიოდში.
- ❖ მუნიციპალიტეტმა სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, ობიექტების ნაწილი ჩაიბარა და ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის დროს ხარჯები ანაზღაურებულია სათანადო დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და არსებული პრაქტიკით იწვევს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურებას.
- ❖ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რამდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ობიექტის დასრულება და ფუნქციონირება, რადგან არ გაითვალისწინა საჭირო ფინანსური რესურსი. შედეგად მოსახლეობა შექმნილი მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს და პროექტებზე გაწეული ხარჯი არ არის ეფექტიანი.
- ❖ აუდიტის შედეგად გამოვლინდა რომ მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შესყიდული მასალები გაუხარჯავია და მოსახლეობა შექმნილი მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს.
- ❖ მიმწოდებლების მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის გამოყენების შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ჯარიმის სახით დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, ასევე ვერ უზრუნველყო მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულება.

- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაცია

რეკომენდაცია №1: ვანის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე; ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოიცვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია N2: მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურების სათანადო ინფორმირებას, ინფრასტრუქტურული პროექტების ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების შესახებ. გამგეობა სრულად არ ფლობს ინფორმაციას იმ ობიექტების დაზიანების შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი საგარანტიო ვადა. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გამგეობამ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნული გარემოების გამოვლენა და მათზე რეაგირება, ასევე უზრუნველყოს ბეტონის საფარზე არსებული დაზიანებების აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი

დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის, საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

რეკომენდაცია №4: ვანის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ნაწილი დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ უზრუნველყვეს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების სათანადო დაგეგმვა. ვანის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე, განსაზღვროს რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. ამასთანავე, მასალების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დააწესოს კონტროლი შესყიდული მასალის გამოყენებაზე და შეიმუშაოს სტრატეგია დაგეგმილი პროექტის სათანადოდ შესასრულებლად, რაც ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროულ და ხარისხიან მიწოდებას.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთან შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) მოახდინოს სათანადო (დროული) რეაგირება.

შესავალი

აუდიტის საგანი

ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- 1) მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- 2) საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- 3) შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- 4) ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების

დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ვანის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 15 531.3 ათასი ლარი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810; 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს

არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

გამოყენებული კრიტერიუმები¹

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქცია“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს, რაც თავის მხრივ მოიცავს 1 ქალაქსა და 41 სოფელს². ვანის მუნიციპალიტეტის ფართობია 558 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 35.8 ათასს კაცს³. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ვანი. მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

ვანის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, გადასახდელები განისაზღვრა 23 591.4 ათასი ლარით. აქედან, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამაზე

¹ 2015-2016 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

² <http://mreg.reestri.gov.ge/>

³ <http://www.vani.org.ge/tourism/>

გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 19%, ხოლო „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 47% შეადგინა. აღნიშნულ პროგრამებზე ჯამში დახარჯულია 15 531.3 ათასი ლარი⁴.

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა⁵.

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტმა გასწია 4 454.6 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, 2015 წელს 2 167.5 ათასი, ხოლო 2016 წელს 2 287.1 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ №1-ში.

ცხრილი №1: 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

	2015 წელი	2016 წელი	ჯამი
ხარჯები	2041.7	2205.3	4247.0
შრომის ანაზღაურება	1525.2	1634.7	3159.9
საქონელი და მომსახურება	514.8	557.9	1072.7
სოციალური უზრუნველყოფა	0	11.5	11.5
სხვა ხარჯები	1.7	1.2	2.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	101.6	81.4	183
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ვალდებულებების კლება	24.2	0.4	24.6
ჯამი	2167.5	2287.1	4454.6

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა

საკრებულოს წევრების ხარჯები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა⁶. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე

⁴ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა - 4 454.6 ათასი ლარი, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ პროგრამა - 11 076.7 ათასი ლარი.

⁵ აღსანიშნავია, რომ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა არ მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოებაზე გაწეულ ხარჯებს, რომელმაც 2015-2016 წლებში 352.4 ათასი ლარი შეადგინა. ეს ხარჯები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია და ცალკე პროგრამული კოდით არის ბიუჯეტში წარმოდგენილი - „თავდაცვა და უსაფრთხოება“ (პრ. კოდი: 02 02). შედეგად აუდიტის მასშტაბში არ შედის.

⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 1.

საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁷.

გარემოება: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №22 დადგენილებით⁸ მიღებული აქვს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯის ანაზღაურების წესი. დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე ცალკეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა 397 ლარი.

2015-2016 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 220.6 ათასი ლარი, მათ შორის, 2015 წელს - 121.2 ათასი, ხოლო 2016 წელს - 99.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე თანხები, ძირითად შემთხვევაში, ანაზღაურებულია ლიმიტის მაქსიმალური ოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, თანხით 220.6 ათასი ლარი, ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე.

რეკომენდაცია №1: ვანის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე; ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოიცვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁸ 8 მაისამდე პერიოდში მოქმედებდა საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №59 დადგენილება, რომლის მიხედვით, ხარჯის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განსაზღვრული იყო 500 ლარით.

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 11 076.7 ათასი ლარი. მათ შორის, 2015 წელს 3 670.9 ათასი, ხოლო 2016 წელს 7 405.8 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ №2-ზე.

ცხრილი №2: 2015-2016 წლებში 03 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

	2015 წელი	2016 წელი	ჯამი
ხარჯები	1 029.9	1 071.2	2 101.1
საქონელი და მომსახურება	603.1	698.8	1 301.9
სუბსიდია	426.0	372.4	798.4
სხვა ხარჯები	0.8	0.0	0.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 641.0	6 279.4	8 920.4
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	55.2	55.2
ჯამი	3 670.9	7 405.8	11 076.7

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია შემდეგი ქვეპროგრამები:

- ✓ გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა - 7 646.7 ათასი ლარი;
- ✓ სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 1 245.0 ათასი ლარი;
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები - ა(ა)იპ - ვანის კომუნალური გაერთიანების დაფინანსება - 814.4 ათასი ლარი;
- ✓ წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 35.3 ათასი ლარი;
- ✓ გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 262.4 ათასი ლარი;
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები - სანაგვე კონტეინერების შესყიდვა - 16 ათასი ლარი;
- ✓ ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა - 21.1 ათასი ლარი
- ✓ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 1 025.9 ათასი ლარი;
- ✓ „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა“ - 9.9 ათასი ლარი.

ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები

კრიტერიუმი: ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გაფორმებული 4 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფის

გარანტიას. ხელშეკრულებების თანახმად, საგარანტიო პერიოდში ხარვეზების გმოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დაზიანებების აღმოფხვრა.

გარემოება: 2015-2016 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გააფორმა 4 ხელშეკრულება საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარის მოსაწყობად, საერთო ღირებულებით 220.9 ათასი ლარი, კერძოდ:

- ✓ 2015 წლის ხელშეკრულება №117 - ციხესულორის თემში კორძაძეების უბანში საავტომობილო გზის აღმართზე ბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით 21 ათასი ლარი.
- ✓ 2016 წლის ხელშეკრულება №133 - დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით - 71.5 ათასი ლარი.
- ✓ 2016 წლის ხელშეკრულება №170 - შუამთის თემში ქედის ეკლესიის გზაზე ბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით - 40.2 ათასი ლარი.
- ✓ 2016 წლის ხელშეკრულება №171 - ყუმურში ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარის დაგება, ღირებულებით - 88.2 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში დაგებული ბეტონის საფარი. შედეგად აღმოჩნდა, რომ შესრულებული სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია და მოწყობილ ბეტონის საფარზე შეინიშნება განივი და გრძივი ბზარები. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იყო შესყიდვის პროცესისთვის ორგანიზება გაეწია ისე, რომ თავიდან აეცილებინა უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საგარანტიო ვადაში ხარვეზების გმოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს უნდა მიემართათ შემსრულებლისთვის ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებული იყო, გამგეობის წერილობითი შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით გამოსწორებინა ხარვეზი. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ სათანადოდ არ ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის მონიტორინგი. შესაბამისად გამგეობა არ ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას შესყიდული ბეტონის საფარის ექსპლოატაციის პროცესში წამროქმნილი ხარვეზების შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტი არ ფლობდა ინფორმაციას 2015-2016 წლებში შესყიდული 220.9 ათასი ლარის ბეტონის გზების ნაწილობრივი დაზიანებების შესახებ, გამგეობამ ვერ გამოიყენა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული გარანტირების მექანიზმი, არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად. შედეგად 220.9 ათასი ლარის ღირებულების ბეტონის საფარი ნაწილობრივ დაზიანებულია და მოსახლეობას მიეწოდება ხარვეზებით.

აუდიტის სამსახურის მიერ აღნიშნული საკითხით დაინტერესების შემდეგ, ვანის გამგეობის წარმადგენლებმა დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი ბეტონის საფარი და 2017 წლის 13 ოქტომერს წერილობით მიმართეს შემსრულებლებს, უმოკლეს ვადაში აღმოეფხვრათ გმოვლენილი დაზიანებები, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. მიუხედავად აღნიშნულისა, წერილობითი მიმართვიდან 2 თვის

ვადაში მიმწოდებლებს არ დაუწყიათ არსებული დაზიანებების გამოსწორების სამუშაოები, ხოლო გამგეობას არ გაუტარებია დამატებითი სამართლებრივი ღონისძიებები.

სურათი 1. ვანის მუნიციპალიტეტში 2015-2016 წლებში მოწყობილი ბეტონის საფარი



რეკომენდაცია N2: მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურების სათანადო ინფორმირებას, ინფრასტრუქტურული პროექტების ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების შესახებ. გამგეობა სრულად არ ფლობს ინფორმაციას იმ ობიექტების დაზიანების შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი საგარანტიო ვადა. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დაანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გამგეობამ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნული გარემოების გამოვლენა და მათზე რეაგირება, ასევე უზრუნველყოს ბეტონის საფარზე არსებული დაზიანებების აღმოფხვრა.

სამშენებლო სამუშაოებზე გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული ხელშეკრულებების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტი სამშენებლო სამუშაოებს შეისყიდის ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და გამარტივებული შესყიდვის გზით. საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად⁹, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს:

- 1) მომწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.
- 2) სამუშაოების შესრულებისას იჯარით აყვანილ მანქანა-მექანიზმების საიჯარო ხარჯს არ უნდა დაერიცხოს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები.
- 3) ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

გარემოება: მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მიიღოს სათანადო რწმუნება იმის შესახებ, რომ ასანაზღაურებელი თანხა სრულად შეესაბამება მიმწოდებლის მიერ გაწეულ ფაქტობრივ დანახარჯებს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამგეობა მიმწოდებელს ავალდებულებს ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება ფორმა 2-ში დაფიქსირებული ფასები მის მიერ გაწეულ ფაქტობრივ დანახარჯებს. რადგან ვანის მუნიციპალიტეტში დადგენილი პრაქტიკით შემსრულებელი დამოუკიდებლად არჩევს ექსპერტიზის განმხორციელებელ ორგანიზაციას, არსებობს რისკი იმისა, რომ გაცემული ექსპერტიზის აქტები სრულად არ ასახავდეს ობიექტურ რეალობას. აღნიშნულ რისკს ამყარებს ის გარემოება, რომ წარმოდგენილ ექსპერტიზის აქტებს არ ახლავს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ექსპერტიზის აქტებში სათანადოდ არ არის აღწერილი ის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ექსპერტმა იანგარიშა შესრულებული სამუშაოების ღირებულება. მიზანშეწონილია, გამგეობამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მისი სამსახურების მაქსიმალურ ჩართულობას ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის პროცესში. მუნიციპალიტეტმა კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმად შესაძლებელია ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელს მოსთხოვოს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების პარალელურად მასთან წარმოდგენა.

2015-2016 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 45 ხელშეკრულება და გადახდილია 5 179.2 ათასი ლარი. 2015 წელს გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული 25 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებულია 663.4 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს 20 ხელშეკრულების ფარგლებში - 4 515.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებების შესწავლით ირკვევა, რომ 27 ხელშეკრულებისათვის, ღირებულებით 4 529.5 ათასი ლარი,

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება.

მიმწოდებლებს წარმოდგენილი აქვთ ექსპერტიზის დასკვნები, სადაც აღნიშნულია, რომ ექსპერტმა შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეაფასა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის - ფარული სამუშაოების აქტების, სასაქონლო ზედნადებების, ხელფასისა და სატრანსპორტო ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. დანარჩენი 649.7 ათასი ლარის ღირებულების 18 ხელშეკრულების ექსპერტიზის დასკვნებში არ იყო მითითებული ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლისა და შეფასების შესახებ. აუდიტის ჯგუფი დაინტერესდა აღნიშნული საკითხით და გაესაუბრა ექსპერტიზის განმახორციელებელ პირს, რომლის წერილობითი განმარტებით, მას შესწავლილი აქვს მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ პარამეტრებთან და შემოწმებული აქვს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების ზღვრული ოდენობების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის №55 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოს ღირებულების დადგენას, ექსპერტს აღნიშნული საკითხი არ შეუსწავლია და მიმწოდებლებისათვის არ მოუთხოვია შესაბამისი პირველადი დოკუმენტები ფაქტობრივი ღირებულების გაანგარიშების მიზნით.

2015-2016 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული გზით შესყიდვისას, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და 18 ხელშეკრულების ფარგლებში, 649.7 ათასი ლარი ანაზღაურებულია შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე.

რეკომენდაცია №3: ვანის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები

კრიტერიუმი: 2015-2016 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსებას, რომლის ფარგლებშიც ყველა სოფელს გამოეყოფა თანხა სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს ირჩევს სოფლის მოსახლეობა საერთო კრებაზე, ხოლო

პროექტის შესყიდვაზე, მიღება-ჩაბარებასა და შემდგომ ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელია - მუნიციპალიტეტი. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე. ამასთან, კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. რესურსების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

გარემოება: 2015-2016 წლებში ვანის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად გამოეყო 1025.9 ათასი ლარი¹⁰. აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. შედეგად აღმოჩნდა, რომ:

1) 2015-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 270 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები, რომელთა გამოყენებით მოსახლეობის მიერ უნდა განხორციელებულიყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები¹¹, კერძოდ, წყლის სათავე ნაგებობებისა და ქსელის მოწყობის¹², სტადიონისა და სასაფლაოს შემოღობვის¹³, მილხიდისა და წყალგამტარი მილის მოწყობის¹⁴ სამუშაოები და სხვ. შეძენილი მასალებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 236.5 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა მასალა (პლასტმასის მილები, მავთულბადე, ცემენტი, მილკვადრატი, არმატურა და სხვა) გამოუყენებელია და დასაწყობებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან.

გამგეობის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ვალდებული იყვნენ კონტროლი დაეწესებინათ შესყიდული მასალების ხარჯვაზე და უზრუნველყოთ მათი დროული გამოყენება, რაც არ განხორციელებულა. აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ 236.5 ათასი ლარი გაიხარჯა არაეფექტიანად და მოსახლეობამ შექმნილი მატერიალური სიკეთით დროულად ვერ ისარგებლა.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა დაიწყო დასაწყობებული მასალების გამოყენება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესასრულებლად, რის შედეგადაც აუდიტის მიმდინარეობის პროცესში გახარჯულია 138.3 ათასი ლარის ღირებულების მასალები.

¹⁰ 2015 წელი - 660 ათასი ლარი, 2016 წელი - 365.9 ათასი ლარი.

¹¹ დიხაშხოს, მუქედის, სალხინოს, გორის, ამაღლების, ყუმურის, გადიდის, უხუთის, ტოხანიერის, ზედავანის, სულორის, ფერეთის, მთისძირის, სალომინაოს, ზუვანის, ზეინდარისა და საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

¹² მუქედის, გორის, ამაღლების, ყუმურის, გადიდის, ტოხანიერის, ზედავანის, ფერეთის, სალხინოს, ზუვანის, ზეინდარისა და საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

¹³ სალხინოს, ტოხანიერის, ფერეთის, საპრასიის, ზედავანისა და ზუვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

¹⁴ გორის, ყუმურისა და ზუვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

- ქ) 2015-2016 წლებში სოფელ სალხინოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა წისქვილის მშენებლობა. კერძოდ, 2015 წელს აშენდა შენობა - ღირებულებით 6.2 ათასი ლარი¹⁵, ხოლო 2016 წლის სექტემბერში შეიძინეს წისქვილისათვის საჭირო მოწყობილობები, ღირებულებით 1.6 ათასი ლარი¹⁶. აუდიტის ჯგუფმა 2017 წლის ივლისში ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაო, შედეგად აღმოჩნდა, რომ წისქვილს არ მიეწოდება ელექტროენერგია და შესაბამისად, არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ვერ მოხერხდა წისქვილის ელექტროგამანაწილებელ ქსელში აბონენტად რეგისტრირება.

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ვერ უზრუნველყვეს ელექტროენერგიის მიწოდების საკითხის გადაწყვეტა, წისქვილს არ გააჩნია ფუნქციური დატვირთვა და მოსახლეობა შექმნილი მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს.

- ქ) 2015-2016 წლებში სოფელ სალხინოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სხვადასხვა ხელშეკრულებით¹⁷ შესყიდულია 3.5 ათასი ლარის ღირებულების მასალები, სპორტული მოედნის მოწყობის მიზნით. აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაო, შედეგად აღმოჩნდა, რომ შეძენილი მასალების ნაწილი გამოყენებულია, ხოლო ნაწილი (შემოღობვის მასალები), 2017 წლის ივლისის მდგომარეობით, დასაწყობებულია და ობიექტი დასრულებული არ არის. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტის დასასრულებლად საჭირო იყო სტადიონის ტერიტორიაზე გრუნტის შეტანა და გაშლა, რომლის შემდეგაც მოხდებოდა ტერიტორიის შემოღობვა. რადგან 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი, შეძენილი შემოღობვის მასალები დასაწყობდა ერთ-ერთ ოჯახში, ხოლო სტადიონის ტერიტორიაზე გრუნტის შეტანისა და გაშლის სამუშაოები დაიგეგმა მომდევნო წლისათვის. 2017 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ აღარ გაგრძელდებულა, ხოლო მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი რესურსებით ვერ უზრუნველყო სტადიონის ტერიტორიაზე გრუნტის შეტანა. შედეგად, 2015 წელს დაწყებული სტადიონის მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტმა ვეღარ დაასრულა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ თავისი არსით არ იყო მრავალწლიანი, შესაბამისად, მისი დაფინანსება მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აღარ გაგრძელდებულყო მომდევნო წლებში. ვანის მუნიციპალიტეტს სამუშაოების დაგეგმვისას უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება. შესაბამისად, პროექტი არ უნდა დაგეგმილიყო იმ გათვლით, რომ მისი დასრულება მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ იქნებოდა შესაძლებელი. ვანის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა პროექტის დაგეგმვისას ვერ გაითვალისწინეს საჭირო ფინანსური რესურსები, რამაც გამოიწვია ის რომ, გამგეობის მიერ 3.5 ათასი ლარი

¹⁵ ხელშეკრულება N 98, 08.07.2015.

¹⁶ ხელშეკრულება N 195, 22.09.2016.

¹⁷ 2015 წელი: ხელშ. N 96, N 202; 2016 წელი: ხელშ. N 122, N 128.

გაიხარჯა არაეფექტიანად და მოსახლეობამ დროულად ვერ ისარგებლა შექმნილი მატერიალური სიკეთით.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა გამოიყენა დასაწყობებული შემოღობვის მასალები და 2017 წლის სექტემბერში შემოღობა სოფ. სალხინოს სტადიონი.

სურათი 2. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეძენილი და დასაწყობებული მასალები



სურათი 3. სოფელ სალხინოს წისკვილი

სურათი 4. სოფ. სალხინოს სტადიონი



რეკომენდაცია №4: ვანის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ნაწილი დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ ისარგებლობს. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ უზრუნველყვეს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი

ლონისძიებების სათანადო დაგეგმვა. ვანის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე, განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. ამასთანავე, მასალების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დააწესოს კონტროლი შესყიდული მასალის გამოყენებაზე და შეიმუშაოს სტრატეგია დაგეგმილი პროექტის სათანადოდ შესასრულებლად. რაც ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროულ და ხარისხიან მიწოდებას.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები

2015-2016 წლებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ვანის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია 46.5 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები (ცემენტი, გადახურვის მასალა და სხვ.). მათ შორის, 2015 წელს - 35.0 ათასი ლარი და 2016 წელს 11.5 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია მოითხოვდა გამგეობის მიერ ოპერატიულ რეაგირებას, 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, 37.1 ათასი ლარის ღირებულების მასალა გამოუყენებელი და დასაწყობებულია სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დაეგეგმა და განეხორციელებინა ისე, რომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მომხდარიყო სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. შედეგად, გამოუყენებელი მასალების ნაშთი მიუთითებს იმაზე, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები გამგეობამ დაგეგმა და განახორციელა არაეფექტიანად.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა დაიწყო არსებული ნაშთის გამოყენების სამუშაოები, რის შედეგად აუდიტის მიმდინარეობის პროცესში გახარჯულია 21.5 ათასი ლარის ღირებულების მასალა.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს ისე, რომ დაიცვას მისი, როგორც შემსყიდველის ინტერესები. მოქმედი კანონმდებლობით, შემსყიდველის ინტერესების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს პირგასამტეხლო, რომლის მიზანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შეუსრულებლობის პრევენცია. შემსყიდველის მხრიდან შეუსრულებელ სამუშაოზე პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა განისაზღვროს ისე, რომ მიმწოდებელს ჰქონდეს მაქსიმალური მოტივაცია დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. გარდა ამისა, მიზანშეწონილია შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის დროს შეიმუშაოს ერთგვაროვანი მიდგომა მიმწოდებლებისათვის.

გარემოება: ვანის მუნიციპალიტეტმა 2016 წლის 19 აგვისტოს შპს „ზიმოსთან“ გააფორმა ხელშეკრულება 24 ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, საერთო თანხით 1 473.4 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 30 ნოემბერი. გამგეობამ მიმწოდებელს სამუშაოების დროულად დასრულების მიზნით ავანსად ჩაურიცხა 1 031.4 ათასი ლარი.

შემსრულებელმა, შპს „ზიმომ“, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 24 ხიდიდან, მოაწყო მხოლოდ 22, საერთო ღირებულებით 1379.3 ათასი ლარი, რომელიც მან მუნიციპალიტეტს ჩააბარა 141 დღის დაგვიანებით. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, გამგეობამ დაიტოვა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, თანხით 73.7 ათასი ლარი და მიმართა შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის „შავ სიაში“ რეგისტრირების მოთხოვნით.

შპს „ზიმოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობის თანახმად, მიწოდების ვადების დარღვევისათვის, მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მიმწოდებელმა წარმოადგინა შემდეგი მიღება-ჩაბარების აქტები:

- ✓ 2016 წლის 30 დეკემბერი, შესრულებული სამუშაოს ღირებულება 266.0 ათასი ლარი, რაზეც დარიცხულია პირგასამტეხლო 3.9 ათასი ლარი (01 დეკემბრიდან - 29 დეკემბრის ჩათვლით).
- ✓ 2017 წლის 31 მარტი, შესრულებული სამუშაოს ღირებულება 503.1 ათასი ლარი, რაზეც დარიცხულია პირგასამტეხლო 30.2 ათასი ლარი (01 დეკემბრიდან - 30 მარტის ჩათვლით).
- ✓ 2017 წლის 19 აპრილი, შესრულებული სამუშაოს ღირებულება 589.9 ათასი ლარი, რაზეც დარიცხულია პირგასამტეხლო 41.5 ათასი ლარი (01 დეკემბრიდან - 20 აპრილის ჩათვლით).
- ✓ 2017 წლის 28 აპრილი, შესრულებული სამუშაოს ღირებულება 20.3 ათასი ლარი, რაზეც დარიცხულია პირგასამტეხლო 1.5 ათასი ლარი (01 დეკემბრიდან - 27 აპრილის ჩათვლით).

სულ მიმწოდებლის ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე, ღირებულებით 1 379.3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხულია და შემსრულებლის მიერ გადახდილია პირგასამტეხლო 77.1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა საერთოდ არ შეასრულა ორი ხიდის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 98.9 ათასი ლარი, რადგან ხელშეკრულების პირობები არ ითვალისწინებდა მიმწოდებლის დაჯარიმებას შეუსრულებელ სამუშაოებზე. გამგეობამ ვერ მოახერხა შპს „ზიმო“ დაეჯარიმებინა აღნიშნული სამუშაოების შეუსრულებლობისთვის.

2015-2016 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მიწოდების ვადის დარღვევისათვის, საჯარიმო სანქციები განსაზღვრულია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. განსხვავებული საჯარიმო სანქცია გამოყენებულია

მხოლოდ 2016 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ, ხელშეკრულებები ითვალისწინებს მიმწოდებლის დაჯარიმებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0.05%-ის ოდენობით. მიზანშეწონილია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის დროს შეიმუშაოს ერთგვაროვანი მიდგომა მიმწოდებლებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ შპს „ზიმოსთან“ საჯარიმო სანქციები არ იქნებოდა განსხვავებული სხვა ხელშეკრულებებისგან, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაჯარიმდებოდა ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ით. სამუშაოები დასრულდა 141 დღის დაგვიანებით, რაზეც დარიცხული პირგასამტეხლო იქნებოდა დაახლოებით 207.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის მიერ ავანსის სახით გადარიცხული 1 031.4 ათასი ლარის დროულად ათვისება, რამდენადაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ხიდების მშენებლობის დასრულება გათვალისწინებული იყო 2016 წლის დეკემბერში, ხოლო შპს „ზიმომ“ სამუშაოები ჩააბარა 2017 წლის აპრილში. შესაბამისად, მიმწოდებელი აღნიშნულ პერიოდში სარგებლობდა მუნიციპალიტეტისაგან მიღებული ფულადი სახსრებით, რომლის ანაბარზე განთავსების შემთხვევაში, სარგებლის სახით დამატებით მიიღებდა დაახლოებით, 30 ათას ლარს¹⁸.

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტმა შპს „ზიმოს“ მიმართ გამოიყენა არაერთგვაროვანი მიდგომა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის განუსაზღვრა უფრო ნაკლები საჯარიმო სანქცია, ვიდრე სხვა მიმწოდებლებს, გამგეობამ დაკარგა ჯარიმის სახით დამატებით 129.9 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა. ამასთანავე, მიმწოდებელმა საერთოდ არ შეასრულა ორი ხიდის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 98.9 ათასი ლარი¹⁹.

ხიდის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების²⁰ თანახმად, შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე 24 მ-ზე მეტია და წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს. მოქმედი კანონმდებლობით²¹, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტები ექვემდებარება სავალდებულო საექსპერტო გამოკვლევას.

გარემოება: 2016 წლის 17 აგვისტოს ვანის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „გემერ კონსტრაქშენტთან“, ხიდების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის თაობაზე. მიმწოდებელმა 2016 წლის 30 აგვისტოს გამგეობას წარუდგინა 288.4 ათასი ლარის ღირებულების სანაპიროსა და ბაგრატის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული ხიდის პროექტი ექვემდებარებოდა სავალდებულო

¹⁸ თანხა დაანგარიშებულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მოკლევადიან დეპოზიტზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე (5,3%).

¹⁹ აღნიშნული ხიდები არ მოეწყო, შესაბამისად, მუნიციპალიტეტს თანხაც არ გადაუხდია.

²⁰ 2009 წლის 24 მარტის ბრძანება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.

²¹ 2006 წლის 24 აგვისტო ბრძანება №1-1/823.

ექსპერტიზას, არც მიმწოდებელს და არც შემსყიდველ ორგანიზაციას აღნიშნული ტიპის მომსახურება არ შეუსყიდია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, იმის გამო, რომ ხიდების მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო შემჭიდროვებულ ვადებში, მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა მშენებლობის პროექტს ჩატარებოდა სათანადო სავალდებულო ექსპერტიზა. აუდიტის ჯგუფი ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან ხიდი წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობას. შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურად დაცულობის მიზნით, მნიშვნელოვანია მოხდეს მისი სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის საექსპერტო გამოკვლევა.

ქ. ვანის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ ხიდის პროექტზე, ღირებულებით 288.4 ათასი ლარი, გამგეობას არც შემდგომ პერიოდში ჩაუტარებია საექსპერტო გამოკვლევა, რის შედეგადაც დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. შესაბამისად, არ არსებობს კვალიფიციური დასკვნა, ხიდი აკმაყოფილებს თუ არა მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის სამსახურის უპირველეს ფუნქციას სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს. შიდა აუდიტის რეკომენდაციებმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

გარემოება: ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. სამსახურის მიზანია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

ვანის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2015-2016 წლებში დამტკიცებული შიდა აუდიტორული ანგარიშების შესწავლით გამოვლინდა, რომ 2015-2016

წლებში შიდა აუდიტის სამსახურს შემოწმებული აქვს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და გაცემული აქვს რეკომენდაციები, ხოლო გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა არ შეუსწავლია. სამსახურს არ შეუფასებია, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შესაბამისად, არ განუხორციელებია შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურს, თავისი საქმიანობით, არ შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებაში, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის დასახული მიზნების მიღწევაში. მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებზე შიდა აუდიტის სამსახურს არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) მოახდინოს სათანადო (დროული) რეაგირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ვანის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, შეიცავს:

1. ბალანსს.
2. ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
3. ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.
4. ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.
5. ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ.
6. ანგარიშს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.
7. ანგარიშს მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ.
8. ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.
9. ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.
10. ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.
11. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.
12. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანების შესახებ.
13. ინფორმაციას დებიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.
14. ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის დანართის სახით.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, ვანის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, შემდეგი სამართლებრივი აქტების შესაბამისად:

- ✓ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

გარემოება 1: 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის საწყისი ნაშთი წარმოდგენილია 464.8 ათასი ლარით, რომელშიც აღრიცხული არ არის 2015 წელს დაუსრულებელი 148.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა 2015 წელს სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც არ დასრულებულა მიმდინარე წელს და მოხდა მათი საბოლოო მიღება-ჩაბარება მომდევნო 2016 წელს. 2015 წლის 31 დეკემბრისათვის 148.9 ათასი ლარის²² ღირებულების სამუშაოები წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში, 2016 წელს შესრულებულია 139.9 ათასი ლარის სამუშაოები. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოების მთლიანი ღირებულება 288.8 ათასი ლარი, აღიარებული უნდა იყოს 2016 წლის „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლში და დაერიცხოს ცვეთა.

- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 148.9 ათასი ლარით.
- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებულია 148.9 ათასი ლარით.
- ✓ შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ✓ გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2: 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად წარმოდგენილია „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ საწყისი ნაშთი. კერძოდ, ვანის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა მიმწოდებლებისგან შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც დასრულდა 2014-2015

²² 2015 წელი- ხელშეკრულება №160, №171.

წლებში, ღირებულებით 39.7 ათასი ლარი²³. აღნიშნული სამუშაოები მიეკუთვნება 2014-2015 წლების არაფინანსურ აქტივებს და მისი წარმოდგენა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლში, არასწორია.

- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის დასაწყისისათვის გაზრდილია 39.7 ათასი ლარით. იმავე თანხით გაზრდილია (ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ ნაშთი წლის ბოლოსათვის.
- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლების საწყისი ნაშთი შემცირებულია 39.7 ათასი ლარით.
- ✓ შესრულებულ სამუშაოებს უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ✓ გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

შენობა-ნაგებობები

მიმწოდებლებმა 2015 წელს შეასრულეს 66.3 ათასი ლარის სამუშაოები, რომელთაგან 48.4 ათასი ლარი მიმწოდებლებს აუნაზღაურდათ, ხოლო დარჩენილი 17.9 ათასი ლარი აყვანილია „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლში. აღნიშნული თანხა მიმწოდებლებს აუნაზღაურდათ 2016 წელს, რაც მიკუთვნებულია 2016 წლის არაფინანსურ აქტივს. შესაბამისად, „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილია 17.9 ათასი ლარით.

- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილია 17.9 ათასი ლარით.
- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1, ფორმა №8) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი გაზრდილია 17.9 ათასი ლარით.
- ✓ აქტივებზე მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხულია ცვეთა. ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ✓ გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

²³ 2013 წელი - ხელშეკრულება №46, 2014 წელი - ხელშეკრულებები: №11, №25, №38.

მატერიალური მარაგები

2016 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესყიდულია მასალები, რომლებიც გადაცემულია სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულისთვის, ღირებულებით 170.8 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ჩამოიწერა 5.8 ათასი ლარის მარაგები, შესაბამისად, 2016 წლის მარაგების ნაშთი წლის ბოლოს შეადგენს 165.0 ათას ლარს. აღნიშნული ოპერაციები წარმოდგენილი არ არის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში.

- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი წლის ბოლოს წარმოდგენილია 190.1 ათასი ლარით, ნაცვლად 165.0 ათასი ლარისა.
- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა № 5, ფორმა №2-1) მატერიალური მარაგების „შესყიდვის“ მუხლი შემცირებულია 170.8 ათასი ლარით, ხოლო „გადაცემის“ მუხლი 5.8 ათასი ლარით.
- ✓ მარაგების ჩამოწერა აისახება ხარჯების შესაბამის მუხლში, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა № 2) 5.8 ათასი ლარით შემცირებულია ხარჯების შესაბამისი მუხლები.

ბალანსის დანართი ფორმები

„ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება, სხვა დანართ ფორმებთან ერთად, უნდა მოიცავდეს - „ანგარიშზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ“ და „ანგარიშზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ“ ფორმებს. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბალანსი მოიცავს მხოლოდ ინფორმაციას დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.

- ✓ ფინანსურ ანგარიშგება (ბალანსი - დანართი ფორმა №7, №8) არ მოიცავს მუნიციპალიტეტის ანგარიშზე რიცხულ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ ინფორმაციას.

ვანის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა.

2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა ვანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება.

ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ წინა პერიოდის აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებებიდან გამგეობას სათანადო ღონისძიებები გატარებული აქვს უმეტეს დარღვევა-ნაკლოვანებებზე. მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანების გამოსასწორებლად, კერძოდ:

- 1) მუნიციპალიტეტს ბალანსზე აღებული არ ჰქონდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2010 წელს რეაბილიტირებული რუსთაველისა და სანაპირო ქუჩები, ღირებულებით - 1360.6 ათასი ლარი. ასევე, 309.8 ათასი ლარის სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც მიეკუთვნებოდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ოპერაციებს, არასწორად იყო კლასიფიცირებული „ოფისის ხარჯებისა“ და „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლებში. აღნიშნული ხარჯებები არ გამოსწორებულა და არც აღრიცხულია არაფინანსური აქტივების შესაბამის მუხლებში.
- 2) 2012 წლის მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან გადმოეცა შუამთის ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება - სატრასპორტო საშუალებები, სხვადასხვა ტექნიკა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, სულ თანხით, 102.6 ათასი ლარი. 2014 წლის 13 მარტს შედგა ინვენტარიზაციის აქტი და გადმოცემული ქონებიდან დანაკლისმა შეადგინა (ვერ იქნა ნანახი) 51.6 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა ფასეულობა. სახელმწიფოსგან გადმოცემული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ შემოსავალში არ არის აღებული და არც დანაკლისზეა გატარებული შესაბამისი ღონისძიება.
- 3) საკრებულოს 2013 წლის 13 ნოემბრის №232 ბრძანებით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, შეიქმნა კომისია. პასუხისმგებელი პირის განმარტებითა და გამგეობაში მოპოვებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საკრებულოში, გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში გამოვლინდა სხვადასხვა ფასეულობათა დანაკლისი, თანხით 38.3 ათასი ლარი, აგრეთვე ჩამოსაწერი ქონება, რაზედაც შედგენილია შესაბამისი მოხსენებითი ბარათები. მიუხედავად ამისა, არ ჩამოწერა ქონება და არც გამოვლენილ დანაკლისებზეა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები. გამოვლენილ დანაკლისებზე არ არის შესაბამისი ბუღალტრული გატარება და არ არის შემცირებული არაფინანსური აქტივები.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი

მიხეილ ჩიქოვანი  ხელმოწერა 09.01.2018 თარიღი

უფროსი აუდიტორი

ნატალია საღარეიშვილი  ხელმოწერა 09.01.2018 თარიღი

უფროსი აუდიტორი

ბარამ ონიანი  ხელმოწერა 09.01.2018 თარიღი

აუდიტორი

ქრისტინე ეკალაძე  ხელმოწერა 09.01.2018 თარიღი

